# მეტაკოგნიციის და ნოეტური შეგრძნებების როლი გადაწყვეტილების მიღებაში

**ნიკა საგანელიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ თოხაძე, ასისტენტ-პროფესორი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2025**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკა საგანელიძე

29.01.2025

# აბსტრაქტი


წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემაა სპეციალური ტიპის ეპისტემური შეგრძნებები, მათი თავისებურებები, ინტერპრეტაცია და ნორმატიული ღირებულება, რომელიც მსჯელობის პროცესს სდევს თან და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რაზე დაყრდნობითაც ხდება ამ პროცესის რეგულირება და ისეთი გადაწყვეტილებების მიღება როგორიცაა მსჯელობის შეწყვეტა, მეტი ინფორმაციის მოძიება ან კვლევის სტრატეგიის ცვლილება. მაგალითად სტუდენტი გრძნობს, რომ მან წარმატებით დაისწავლა საგამოცდო საკითხები, შედეგად ის სხვა საქმეზე გადაერთვება. მკვლევარი გრძნობს, რომ მისი არგუმენტი ვერ იძლევა პოზიციის დამაჯერებელ დასაბუთებას, შედეგად ის ცვლის კვლევის სტრატეგიას. ასეთ შეგრძნებებს ნოეტური შეგრძნებები ეწოდებათ. ნაშრომში ისინი განხილულია მეტაკოგნიტურ ჩარჩოში, რადგან მეტაკოგნიციის დანიშნულებას სწორედ პირველი რიგის კოგნიტური პროცესების კონტროლი და მონიტორინგი წარმოადგენს, ამიტომ ნოეტური შეგრძნებები ბუნებრივად თავსდებიან მეტაკოგნიციის თეორიაში.

მოცემულ ნაშრომში დაცულია პოზიცია, რომ ნოეტური შეგრძნება არ წარმოადგენს რწმენის გამართლებისთვის საკმარის მიზეზს, არამედ ის გვაძლევს მსჯელობის წარმართვის შესაძლო მიმართულების არჩევის მიზეზს. გაზიარებადობა წარმოდგენილია როგორც ეპისტემური გამართლების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, რაც საშუალებას იძლევა ცოდნა შეფასდეს არა მხოლოდ აგენტის ფონური რწმენების კოჰერენტულობის ფარგლებში, რის საფუძველზეც აღიძვრება ნოეტური შეგრძნება, არამედ ფონური ცოდნა განივრცოს სხვათა ჩართულობითაც, რისთვისაც აუცილებელია მოხდეს მიზეზების ექსპლიკაცია და არტიკულირება.



**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მეტაკოგნიცია, ნოეტური შეგრძნება, ეპისტემური გამართლება.

# Abstract

The paper discusses a specific type of epistemic feelings known as noetic feelings, focusing on their characteristics, interpretation, and normative value. These feelings play a crucial role in the reasoning process by providing important information about the status of ongoing cognitive activities. This information helps regulate the reasoning process and informs decision-making, such as whether to terminate reasoning, gather more information, or change strategies. For instance, a student who feels confident that they have successfully learned the exam material might switch to a different task. Similarly, a researcher may realize that their argument does not effectively support their position, prompting them to alter their research strategy. The study of noetic feelings is framed within a metacognitive context, as metacognition involves the control and monitoring of first-order cognitive processes. Therefore, noetic feelings naturally fit into metacognitive theory.

This paper argues that noetic feelings do not offer sufficient grounds for justifying beliefs; rather, they serve as a catalyst for pursuing a particular line of inquiry. The essential characteristic of epistemic justification is posited to be its shareability, enabling knowledge to be assessed not only within the confines of the coherence of the agent's background beliefs that evoke the noetic feeling, but also through the engagement of others. This process necessitates the clear articulation and explication of reasons.



**Key Words: metacognition, noetic feeling, epistemic justification.**